თბილისელებმა დაამთავრეს I წრე

მოსკოვი. 22 ოქტომბერი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. ცსკა _ “დინამო” (თბილისი) _ 2:1 (1:0).

ცსკა: კანანინი, სემიგლაზოვი, ლინიაევი, ბაგრიჩი, შესტერნევი, ფომიჩევი, გრეკოვი, ამბარცუმიანი, ფედოტოვი, ჟურავლიოვი, ორეშნიკოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჩოხელი, პეტრიაშვილი, გ. სიჭინავა, ზეინკლიშვილი, დათუნაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ა. ალოვი (ლენინგრადი).

საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლი გუნდების _ მოსკოვის ცსკა-სა და თბილისის “დინამოს” შეხვედრის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა ორმხრივ იერიშებში. მე-10 წუთზე გრეკოვმა მარჯვენა ფრთიდან ჩამოაწოდა თბილისელთა საჯარიმო მოედანზე. ბურთი მიიღო ამბარცუმიანმა და საკმაოდ სუსტი დარტყმით გაგზავნა კარისაკენ. მეკარე კოტრიკაძეს არ ეკავა ხელსაყრელი პოზიცია და ბურთმა შეუფერხებლად გადაკვეთა თბილისელთა კარის ხაზი _ 1:0.

მეორე ტაიმში თბილისელები გააქტიურდნენ, მაგრამ წარმატებას კვლავ არმიელებმა მიაღწიეს (24-ე წუთზე გრეკოვმა მეორე ბურთი გაიტანა სტუმრების კარში). ამის შემდეგ თბილისელები ათნი დარჩნენ _ მოედნიდან გაძევებულ იქნა გ. სიჭინავა. მაგრამ არ გაუვლია წუთსაც, რომ ბარქაია სწრაფად შეიჭრა დრიბლინგით მარჯვენა ფრთიდან და ძლიერი დარტყმით დაბალ მარცხენა კუთხეში მოათავსა საპასუხო ბურთი.

დარჩენილ დროში თბილისელთა უპირატესობა აშკარა შეიქნა, მაგრამ მოპოვებული უპირატესობა (2:1) მოსკოველებმა შეხვედრის ბოლომდე შეინარჩუნეს.

“ლელო”, 23 ოქტომბერი 1962 წ.